

**საქართველოს კანონი
საქართველოს საგადასახადო კოდექსში
ცვლილებების შეტანის შესახებ**

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 41, 30.12.2004, მუხ. 200) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. 84-ე მუხლს დაემატოს მე-5 და მე-6 ნაწილები შემდეგი რედაქციით:

„5. თუ საგადასახადო ორგანო დაადგენს, რომ პირმა ქონება ან მისი ნაწილი გადასცა სხვა პირს გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით მას უფლება აქვს საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებით განახორციელოს ამ ქონებიდან.

6. თუ საგადასახადო ორგანო დაადგენს, რომ პირმა გადახდისუუნარობისას ქონება ან მისი ნაწილი განკარგა გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით, რომელიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში მოექცეოდა სამეურვეო ქონებაში, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებით განახორციელოს განკარგული ქონებიდან.“.

2. 85-ე მუხლის:

ა) მე-2 და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა წარმოიშობა უფლებამოსილ მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში ვრცელდება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საკუთრებაში არსებულ ან/და ბალანსზე რიცხულ (ლიზინგით მიღებულის გარდა) ნებისმიერ ქონებაზე, საგადასახადო დავალიანების წარმოქმნის შემდეგ შექმნილი ქონების ჩათვლით.

3. საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის გამოყენების შესახებ შეტყობინება ეგზავნება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს რეგისტრაციისათვის, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს შეტყობინების მიღების დღის მომდევნო დღისა, რეგისტრაციაში გაატაროს საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება, შეტყობინება იმავდროულად ეგზავნება აგრეთვე გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს.“;

ბ) მე-4 ნაწილს დაემატოს „დ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„დ) საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებითი აღსრულების მიმდინარეობისას.“;

გ) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის საგნის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეალიზაციის შედეგად, უქმდება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ წარმოშობილი ყველა სანივთო უფლება, ხოლო საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე რეგისტრირებული სხვა გირავნობის/იპოთეკის უფლებები ძალაში რჩება. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტები, რომელთა გირავნობის/იპოთეკის უფლებაც წარმოიშვა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე, ახდენენ გირავნობის/იპოთეკის საგნის რეალიზაციას, რეალიზაციის შედეგად უქმდება ამ გირავნობის/იპოთეკის უფლების რეგისტრაციის შემდეგ წარმოშობილი ყველა სანივთო უფლება, ასევე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, ხოლო რეალიზებული გირავნობის/იპოთეკის უფლების რეგისტრაციამდე რეგისტრირებული სხვა სანივთო უფლებები, ასევე, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა ძალაში რჩება.“.

დ) მე-5 ნაწილის შემდეგ დაემატოს 5¹ ნაწილი შემდეგი რედაქციით:

„5¹. ამ მუხლის მე-5 ნაწილის მიზნებისთვის საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების, საერთაშორისო და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების გირავნობის/იპოთეკის უფლება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე წარმოშობილად მიიჩნევა, თუ ამ გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაცია და ამ გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან (მოთხოვნებიდან) გამომდინარე შესრულების ვალდებულების წარმოშობა წინ უსწრებს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაციას მარეგისტრირებელ ორგანოში.“.

ე) მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. თუ საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონება გაიყიდება ან რაიმე გზით გადაეცემა სხვა მფლობელს, გირავნობის/იპოთეკის უფლება კვლავ გაგრძელდება ამ ქონებაზე ამ მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული წესით.“.

ვ) მე-8 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის „ე“¹ ქვეპუნქტი:

„ე¹) ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

